



ქ. თბილისი

**M2 კატეგორიის ავტობუსების სახელმწიფო შესყიდვის ელექტრონული ტენდერის (აუქციონის გარეშე)
სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი №2**

სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე, გენერალური დირექტორი - გიორგი შარკოვი;
კომისიის წევრი, გენერალური დირექტორის მრჩეველი - გიორგი ბეჟიაშვილი;
კომისიის წევრი, დირექტორი ფინანსურ საკითხებში - მაია ხაჩირაშვილი;
კომისიის წევრი, დირექტორი მეტროპოლიტენისა და საბაგირო გზების ექსპლუატაციის საკითხებში - გრიგოლი ხუცურაული;
კომისიის წევრი, დირექტორი მონიტორინგისა და იურიდიულ საკითხებში - მალხაზ ჩარკვიანი;
კომისიის წევრი, დირექტორი (მთავარი ინჟინერი) - გიორგი ტალახაძე;
კომისიის წევრი, დირექტორი საინფორმაციო ტექნოლოგიების საკითხებში - რევაზ მოსეშვილი;
კომისიის წევრი, იურიდიული სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - ირაკლი ნაცვლიშვილი;
კომისიის წევრი, შესყიდვების სამსახურის უფროსი - გიორგი დოლიძე;
კომისიის სხდომის მდივანი, აპარატის წევრი, შესყიდვების სამსახურის მთავარი სპეციალისტი - დაჩი კობახიძე.

სხდომას არ ესწრებოდნენ:

კომისიის წევრი, დირექტორი ავტობუსების ექსპლუატაციის საკითხებში - პაატა ბეჟანიშვილი;
კომისიის წევრი, იურიდიული სამსახურის უფროსი - ანნა ლომჯარია.

დღის წესრიგი:

- ელექტრონული ტენდერის (აუქციონის გარეშე) საშუალებით, **M2 კატეგორიის ავტობუსების (NAT200010113)** სახელმწიფო შესყიდვის პროცედურაში მონაწილე პრეტენდენტის - **სს „ჭიუნდაი ავტო საქართველო“-ს (ს/ნ 204478948)** მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის განხილვა.

მოისმინეს:

- სატენდერო კომისიის აპარატის წევრის, დაჩი კობახიძის ინფორმაცია, **M2 კატეგორიის ავტობუსების სახელმწიფო შესყიდვის ელექტრონული ტენდერის (აუქციონის გარეშე)** შედეგის შესახებ.

განიხილეს:

- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“-ს 27-ე მუხლის, პირველი პუნქტის შესაბამისად, **M2 კატეგორიის ავტობუსების სახელმწიფო შესყიდვის პროცედურაში მონაწილე პრეტენდენტის, სს „ჭიუნდაი ავტო საქართველო“-ს** მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია.

აღინიშნა:

1. **M2 კატეგორიის ავტობუსების** სახელმწიფო შესყიდვის ელექტრონულ ტენდერში (აუქციონის გარეშე) მონაწილე პრეტენდენტმა - სს „**ჰიუნდაი ავტო საქართველო**“, სახელმწიფო შესყიდვის ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით, ელექტრონული ვაჭრობის შედეგად დააფიქსირა ფასი - **30'000'000 (ოცდაათი მილიონი)** ლარი.
2. სატენდერო კომისიის მიერ „Hyundai Motor Company“-ს ოფიციალურ ვებ-გვერდებზე (<https://www.hyundai.com/worldwide/en>; <http://trucknbus.hyundai.com/global/en/>) ვერ იქნა მოძიებული ტენდერში შემოთავაზებული მოდელის „HYUNDAI H350“ (17+1 ადგილი) სატრანსპორტო საშუალების შესახებ ინფორმაცია. სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულია M2 კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების შესყიდვა და მოთხოვნილია, რომ პრეტენდენტმა ერთიან ელექტრონულ სისტემაში უნდა ატვირთოს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ვინაიდან ავტოსატრანსპორტო საშუალებების დაყოფა კატეგორიებად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის ეკონომიკური კომისიის შიდა ტრანსპორტის კომიტეტის მიერ მიღებული „სატრანსპორტო საშუალებების კონსტრუქციის შესახებ შემაჯამებელი რეზოლუციის“ შედეგად ხორციელდება (დოკუმენტი TRANS/WP-29/78/Rev.1/Amend/2, მიღების თარიღი 13.08.97, რატიფიცირებულია როგორც საქართველოს, ასევე თურქეთის მიერ და შესასრულებლად სავალდებულოა), შემოთავაზებული სატრანსპორტო საშუალება უნდა აკმაყოფილებდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ მიღებულ ჩარჩო დირექტივებითა და რეგულაციებით დადგენილ მოთხოვნებს. ზემოაღნიშნული შემაჯამებელი რეზოლუციის დამატება - გაერთიანებული ერების ორგანიზაციის #107 რეგულაცია განსაზღვრავს იმ კონსტრუქციულ პარამეტრებს/ნორმებს რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს M2 კატეგორიის სატრანსპორტო საშუალება.
3. სატენდერო დოკუმენტაციის 2.1.1 პუნქტით შესყიდვის ობიექტის შესახებ მოთხოვნილ ინფორმაციაში (დანართი N4) პრეტენდენტმა მიუთითა, რომ Hyundai H350 მოდელის ავტობუსის მწარმოებელი ფირმა არის Hyundai Motor Company (ჰიუნდაი მოტორ კომპანი). ასევე სისტემაში ატვირთულია Hyundai Motor Company-ის გუნდის მენეჯერის/კომერციული ავტომობილის ექსპორტის გუნდი 1-ის დენი კიმის მიერ ხელმოწერილი დადასტურების წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ ავტობუსი Hyundai H350 (17+1 ადგილი) წარმოებული არის თურქეთში მდებარე Hyundai-ის ოფიციალურ ქარხანაში.

სატენდერო კომისიამ გადაამოწმა მითითებული ინფორმაცია ჰიუნდაის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (იხილეთ: <http://www.hyundai-commercialvehicles.com/press-room/detail/KARSAN-AND-HYUNDAI-TAKE-A-GIANT-STEP-TOGETHER/125/278/0>), სადაც აღნიშნულია, რომ თურქეთში Hyundai H350 მოდელის ავტობუსს Hyundai Motor Company-სთვის აწარმოებს კომპანია KARSAN მისივე საკუთრებაში არსებულ თურქეთის ქარხანაში. აღნიშნული ინფორმაცია გამოქვეყნებულია კომპანია KARSAN-ის ოფიციალურ ვებ-გვერდზეც (იხილეთ: <https://www.karsan.com/en/corporate/about-karsan/karsan-overview>) და ამ მოდელის წარმოების გამოცდილება ასევე ასახული და გამოქვეყნებულია 2019 წლის KARSAN-ის ოფიციალურ წლიურ ანგარიშში (იხილეთ: <https://www.karsan.com/Download/Flipbook/KARSAN-2019-ANNUAL-REPORT/>).

4. სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული ტექნიკური დავალების (დანართი #1) მე-15 პუნქტში მითითებული ავტობუსის Hyundai H350 (17+1 ადგილი) წვის პარამეტრის დასადასტურებლად პრეტენდენტის მიერ ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთულია ასევე Hyundai Motor Company-ის გუნდის მენეჯერის/კომერციული ავტომობილის ექსპორტის გუნდი 1-ის დენი კიმის მიერ ხელმოწერილი დადასტურების წერილი, რომელშიც მოცემული მოდელის წვის პარამეტრები განსაზღვრულია შემდეგნაირად: ქალაქი/შერეული/ქალაქგარეთ: 9.5/8.2/7.5 ლიტრი/100 კმ-ზე.

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა ჰიუნდაის ოფიციალურ ვებ-გვერდზე არ იმეზება ავტობუსის Hyundai H350 (17+1 ადგილი) მოდელი და შესაბამისად არც მისი სხვა პარამეტრები არ არის მოცემული, მაგრამ მწარმოებლის ერთ-ერთ ოფიციალურ ვებ-გვერდზე (იხილეთ: <http://www.hyundaicamionesybuses.cl/wp-content/uploads/2019/08/Solati-H350-Pasajeros.pdf>) სატენდერო კომისიის მიერ მოძიებული იქნა იდენტური გაბარიტების, ძრავის ემისიის, ძრავის სიმძლავრის, საბურავის ზომისა და სხვა პარამეტრების მქონე 16+1 ადგილიანი Hyundai H350, რომელსაც წვის პარამეტრები უფრო მაღალი აქვს (ქალაქი/შერეული/ქალაქგარეთ: 12.8/9.9/8.1 ლიტრი/100 კმ-ზე (საიტზე მოცემული კმ/ლიტრის პარამეტრი გადაყვანილია ლიტრი/100 კმ-ზე)) არამარტო სატენდერო წინადადებით განსაზღვრულ მოთხოვნებზე (ქალაქი/შერეული/ქალაქგარეთ: არაუმეტეს 10/9/7.5 ლიტრი/100 კმ-ზე), არამედ უშუალოდ Hyundai Motor Company-ის გუნდის მენეჯერის/კომერციული ავტომობილის ექსპორტის გუნდი 1-ის დენი კიმის მიერ ხელმოწერილ დადასტურების წერილში 17+1 ადგილიანი ავტობუსისთვის დადასტურებულ პარამეტრებზეც კი (გამოდის რომ 17+1 ადგილიანი ავტობუსის წვა უფრო ნაკლებია ვიდრე 16+1 ადგილიანის). ამასთან, Hyundai Motor Company-ის გუნდის მენეჯერის/კომერციული ავტომობილის ექსპორტის გუნდი 1-ის დენი კიმის მიერ ხელმოწერილ დადასტურების წერილში არ არის მითითებული რომელი სტანდარტის შესაბამისად მოხდა წვის პარამეტრების განსაზღვრა.

5. სატენდერო კომისიის მიერ კომპანიების ოფიციალურ ვებ-გვერდებზე მოძიებულ და ტენდერის მოსამზადებელ ეტაპზე ბაზრის კვლევის ფარგლებში სს „ჰიუნდაი ავტო საქართველოს“ მიერ მოწოდებულ ინფორმაციებსა და სს „ჰიუნდაი ავტო საქართველოს“ მიერ სატენდერო წინადადებით შემოთავაზებული ავტობუსის Hyundai H350 (17+1 ადგილი) პარამეტრების დამადასტურებელ ინფორმაციად სისტემაში ატვირთულ და Hyundai Motor Company-ის გუნდის მენეჯერის/კომერციული ავტომობილის ექსპორტის გუნდი 1-ის დენი კიმის მიერ ხელმოწერილ წერილებში მოცემულ ინფორმაციებს შორის მნიშვნელოვანი შეუსაბამობები და განსხვავებები იწვევს საფუძვლიან ეჭვს სატენდერო წინადადებაში მოცემული პარამეტრების სისწორეთან მიმართებაში.
6. გარდა ამისა, M2 კატეგორიის ავტობუსების სახელმწიფო შესყიდვის პროცედურაში მონაწილე პრეტენდენტის - სს „ჰიუნდაი ავტო საქართველო“-ს მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია შეიცავს უზუსტობებს და არ არის სრულყოფილად წარმოდგენილი. კერძოდ:
 1. დანართი №1 - ტექნიკურ დავალების მე-3 გრაფა შეიცავს შემდეგი სახის უზუსტობებს:
 - 1.1 24-ე პოზიციაზე, არ არის მითითებული მინის დაბურვის კონკრეტული პროცენტული მაჩვენებელი (მითითებულია 26-30%);
 - 1.2 30-ე პოზიციაზე არ არის მითითებული კონკრეტულად თუ რა მასალისგან არის დამზადებული სკამების ჩარჩოები (დაფიქსირებულია გამძლე მასალისგან).
 2. დანართი №5 - ფლობის ღირებულება შეიცავს შემდეგი სახის უზუსტობებს:
 - 2.1 მე-3 გრაფის დასახელება არასრულყოფილად არის მითითებული. კერძოდ, არ არის დაფიქსირებული რომ აღნიშნული გრაფა ითვალისწინებს საქონლის ერთეულის ღირებულებას;
 - 6.1.1 არ არის მითითებული გარბენის განზომილება (კმ);
 - 2.2 დანართი არ შეიცავს მითითებას რომ ფლობის ღირებულება წარმოდგენილია დღგ-ს ჩათვლით.
7. სატენდერო დოკუმენტაციის 2.2.1 პუნქტის საპასუხოდ წარმოდგენილი დოკუმენტით (მწარმოებლის წერილი გამოცდილების შესახებ) ვერ დგინდება რომ პრეტენდენტის მიერ წერილში მითითებული მოდელები HYUNDAI H100 გრეისი (1986 წლიდან 2004 წლამდე) და HYUNDAI H1 სტარექსი (1997-წლიდან დღემდე) წარმოადგენს M2 კატეგორიას. ავტოსატრანსპორტო საშუალებების დაყოფა კატეგორიებად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის ეკონომიკური კომისიის შიდა ტრანსპორტის კომიტეტის მიერ მიღებული „სატრანსპორტო

საშუალებების კონსტრუქციის შესახებ შემაჯამებელი რეზოლუციის“ შესაბამისად, ავტოსატრანსპორტო საშუალების M2 კატეგორიად მიჩნევისათვის, მათ შორის აუცილებელია, რომ ავტოსატრანსპორტო საშუალების ნებადართული მაქსიმალური მასა არ აღემატებოდეს 5 ტონას და ჰქონდეს 9-ზე მეტი დასაჯდომი ადგილი (მძღოლის ადგილის ჩათვლით). იმ შემთხვევაში, თუ ასეთ ავტოსატრანსპორტო საშუალებას აქვს 9 დასაჯდომი ადგილი (მძღოლის ადგილის ჩათვლით) იგი განეკუთვნება M1 კატეგორიას. (<https://matsne.gov.ge/document/view/2189748?publication=0>). სატენდერო კომისიამ განიხილა პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი წერილი გამოცდილების დადასტურების შესახებ, სადაც მითითებულია 9 და 12 ადგილიანი ავტობუსების წარმოების გამოცდილება და შესაბამისად დასაზუსტებელია, Hyundai Motor Company-იმ როდიდან დაიწყო 12 ადგილიანი ანუ M2 კატეგორიის ავტობუსების წარმოება, რაც მოთხოვნილი იყო სატენდერო დოკუმენტაციით.

არ არის წარმოდგენილი სატენდერო დოკუმენტაციის 2.9 პუნქტით მოთხოვნილი ინფორმაცია, რომ მოწოდებული ავტობუსების გარბენი იქნება არაუმეტეს 500 კმ.

- დანართი №2 - ფასების ცხრილი საჭიროებს დაზუსტებას პრეტენდენტის მიერ ელექტრონული ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებული ფასის - 30'000'000 ლარის შესაბამისად.

კომისიამ დაადგინა:

- ტექნიკური დოკუმენტაციის სრულყოფილად განხილვის მიზნით, ეთხოვოს სს „ჰიუნდაი ავტოსაქართველო“-ს წარმოადგინოს **დაზუსტებული დოკუმენტაცია:**
 - 1) ინფორმაცია, შემოთავაზებული ავტობუსის (მოდელი HYUNDAI H350) მწარმოებელი ქარხნის შესახებ, წინამდებარე ოქმის მე-3 მუხლში დაფიქსირებული შენიშვნის გათვალისწინებით;
 - 2) დანართი №1 (ტექნიკურ დავალების) პირველ პოზიციაზე („სატრანსპორტო საშუალების კატეგორია (Vehicle category)“) ტენდერში შემოთავაზებული მოდელის „HYUNDAI H350“ სატრანსპორტო საშუალების (შემოთავაზებული ტექნიკური მახასიათებლებით) M2 კატეგორიის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანიზაციის მიერ გაცემული დამადასტურებელი დოკუმენტაცია (გაერთიანებული ერების ორგანიზაციის #107 რეგულაციის შესაბამისად დამტკიცებული M2 კატეგორიის ტიპის მოწონების/სერტიფიკატი (Type approval) ან სხვა ანალოგიური), რომელშიც აგრეთვე ნათლად იქნება აღწერილი ავტობუსის სხვადასხვა კონსტრუქციული პარამეტრები (მათ შორის: უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობა, ავტობუსში განთავსებული სავარძლების რაოდენობა);
 - 3) დანართი №1 (ტექნიკურ დავალების) მე-15 პოზიციაზე („საწვავის მოხმარება 100კმ-ზე (Fuel consumption per 100 km)“) შემოთავაზებული „HYUNDAI H350“ მოდელის ავტობუსზე შესაბამისი უფლებამოსილი ორგანიზაციის მიერ გაცემული დაზუსტებული დოკუმენტაცია (აკრედიტირებული პირის მიერ გაცემული სათანადო დოკუმენტი, დასკვნა, ტესტ-რეპორტი ან სხვა დამადასტურებელი დოკუმენტი);
 - 4) დანართები: №1 (ტექნიკური დავალება) და №5 (ფლობის ღირებულება), ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით;
 - 5) სატენდერო დოკუმენტაციის 2.2.1 პუნქტის საფუძველზე პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის დამაზუსტებელი დოკუმენტაცია: 1) რომელ წელს დაიწყო HYUNDAI H100 გრების 12 ადგილიანი ვერსიის წარმოება და 2) დამოუკიდებელი უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული შესაბამისი დოკუმენტი, რომლითაც დადასტურებული იქნება 1990 წლამდე გამოშვებული HYUNDAI H100 გრების 12 ადგილიანი მოდელის M2 კატეგორიის მახასიათებლებთან შესაბამისობა;
 - 6) სატენდერო დოკუმენტაციის 2.9 პუნქტით მოთხოვნილი ინფორმაცია, ზემოაღნიშნული შენიშვნის გათვალისწინებით;
 - 7) დანართი №2 - ფასების ცხრილი, ელექტრონული ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებული ფასის შესაბამისად.

- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ 27-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და მე-10 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დაზუსტებული დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადად განისაზღვროს 3 (სამი) სამუშაო დღე, არაუგვიანეს **2020 წლის 27 აგვისტოსი**.
- აღნიშნული გადაწყვეტილება ჩაითვალოს პრეტენდენტისთვის შეტყობინებად, რომელიც ეგზავნება პრეტენდენტს წინამდებარე ოქმის სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთვის გზით და რომელიც ითვლება მიღებულად მისი სისტემაში ატვირთვის მომენტიდან.
- დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს წინამდებარე ოქმის სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთვა.

გიორგი ბეჟიაშვილი

გენერალური დირექტორის მრჩეველი



რევაზ მოსეშვილი

დირექტორი საინფორმაციო ტექნოლოგიების საკითხებში

გიორგი ტალახაძე

დირექტორი (მთავარი ინჟინერი)

გიორგი დოლიძე

სამსახურის უფროსი

დაჩი კობახიძე

ტენდერებისა და ანგარიშგების მთავარი სპეციალისტი

გრიგოლი ხუცყურაული

დირექტორი მეტროპოლიტენისა და საზაგირო გზების ექსპლუატაციის საკითხებში


მაია ხაჩირაშვილი

დირექტორი ფინანსურ საკითხებში

მალხაზ ჩარკვიანი

დირექტორი მონიტორინგისა და იურიდიულ საკითხებში

ირაკლი ნაცვლიშვილი



სამსახურის უფროსი - მ.შ.

გიორგი შარკოვი



გენერალური დირექტორი